

რამაზ ნამიჯიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება
"ნიკო ნიკოლაძის" პრეზიდენტი

ეკონომიკა მეცნიერება-ანტიმეცნიერების ზღვარზე

ადამიანი, როგორც კეთილშობილი და ღვთისნიერი უნდა იყოს იგი, წინააღმდეგობების მატარებელი. კეთილი და ბოროტი წინააღმდეგობრივად არსებითია და მხოლოდ მცირე ჩვენთაგანი თუ ახერხებს თავისთავში არსებულ ბოროტს სძლიოს სიკეთის არჩევანით. სიკეთე და ბოროტება ერთარსება რომ არ იყოს, მაშინ სიკეთე გაუგებარი იქნებოდა და პირიქით. წმინდა ეკონომიკური გაგებით, მთელის კონსტრუქცია მისი შიდა სტრუქტურების ცვლილებების სივრცეა ალტერნატიული დანახარჯებით. დანახარჯები შეწირვად უნდა ღირდეს საბოლოო შედეგიდან გამომდინარე. ამ გაგებით მეცნიერება გამონაკლისი არ არის.

თავისუფლება, ბერდიაევის აზრით არისტოკრატიულია და იგი ადამიანს საშუალებას აძლევს სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, რაც საზოგადოებრივად პრაქტიკულად არსებითი და ცნობადია, რომლის გამოსატყულება ცხოვრების დონის ამაღლება და ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება. თავისუფლების რეალიზაცია ჰეგელს შესაძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს მეშვეობით. ასეთი თავისუფლება ემყარება ოჯახის, საზოგადოების, ტრადიციების და კიდევ მოსახლეობს მორალურ-ზნეობრივ ინსტიტუტებს, ანუ თავისუფლება პასუხისმგებლობით არის დატვირთული. უფრო ვრცლად თუ ვიტყვით: თავისუფლება იმავე დროს პასუხისმგებლობაა.

თავისუფლება, რომლის შესახებაც ახლა ჩვენ ვმსჯელობთ, ეყრდნობა იმას, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და ინდივიდუალური სახეობრივი არსებაა, რომელიც საზოგადოების გარეშე ვერ იცხოვრებს. ჩვენ, ქართველები, როგორც სხვა ერები, გამოჩენილი ინდივიდუალობის მიუხედავად, საზოგადოებრივი ადამიანები ვართ. განსაკუთრებულია და ვრცელი ჩვენი ოჯახური ინსტიტუტი, პატრიოტიზმი, სიყვარული, მეზობლობა, ნათესაობა, მოყვრობა, მეგობრობა, ძმაცაცობა, ნაცნობობა, საქორწილო და საწესჩვეულებო რიტუალები, სტუმართმოყვარეობა. ეს ყველაფერი ერთად ჩვენი თვითმყოფადობაა, რომლის გადაგვარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს არსებობას. თითქოსდა წესით ასეთი საფრთხე არ უნდა არსებობდეს, მაგრამ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გრძელი ისტორია იმისი ფაქტურაა, რომ სახელმწიფოთა კეთილმეზობლური დამოკიდებულება შემთხვევითია ფაქტორია ძარცვასა და ტერიტორიულ ანექსიებთან შედარებით. მეცნიერებამ ახალი ხარისხი შემატა მოსახლეობის ძარცვისა და მიტაცების ფორმებს, ადამიანის მართვისა და ზომბირების მეთოდებს, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დადებითად არ აისახება. აღმოჩნდა, რომ მეცნიერების წინსვლა მორალისა და ზნეობრიობის გარეშე ბუნებრივ კატასტროფებზე უარესია. აქ მხოლოდ ჩერნობილისა და იაპონიის ატომური სადგურების კატასტროფები არ იგულისხ-

საზოგადოებრივი ცხოველია და ინდივიდუალური სახეობრივი არსებაა, რომელიც საზოგადოების გარეშე ვერ იცხოვრებს.

მება. თუმცა ყველაფერ ამაში, მაინც ადამიანის ხელი ურევია. მდგომარეობა უფრო უარესია, როცა მეცნიერულ აღიარებას უპირისპირდება საწინააღმდეგო კონცეფცია არა როგორც განვითარება და უარყოფა, არამედ როგორც მისი გადაგვარება და გაქრობა.

ზემოთ სახელმწიფო და საზოგადოება ვახსენეთ. იმას მივუბრუნდეთ.

სახელმწიფო ოჯახის წარმონაქმნია, საზოგადოება მერენდელია, რომელმაც სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი ფუნქცია გაზარდა, მისი ჰორიზონტალური ადგილები შეავსო. ეკონომიკური თავისუფლების გაფართოებამ წარმოქმნა ოჯახიდან პიროვნების ფორმირების ასპარეზი, რომლის ორგანიზაციული ფორმაა საზოგადოება, მაგრამ ეს რომ ჰარმონიული სისტემა არ არის, ყველასათვის გასაგებია. სახელისუფლო სავარძლებს არა მხოლოდ არჩევნების გზით იკავებენ, არამედ იპყრობენ, იტაცებენ, იხვეჭენ ან ხალხის გაბრიყვებით იჭერენ ხოლმე, რაც მწვავე სოციალურ კლიზიურ პროცესებს ქმნის, მაგრამ ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების ხელისუფლების ჩამოგდება იოლი საქმე არასდროს ყოფილა, ახლა, მითუმეტეს, ძალიან რთულია არა იმიტომ, რომ ხელისუფლება განვითარებული ძალოვანი ინსტიტუტია, არამედ იმიტომაც, რომ იგი კონსოლიდირებული სტრუქტურაა სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა მაინც, მოსახლობას დიდი ძალა აქვს და ჯერ არ ყოფილა ხელისუფლება, ხალხის შიში არ ჰქონოდა, თუმცა ყველა შემთხვევაში ხალხი ძალა არ არის. მისი უკიდურესი წინაპირობაა ბრბო, ბერძნულად ოლხო, როცა კანონები ქვეყანაში დემაგოგიური ხელისუფლების მიერ იქმნება მათი კერძო პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ბრბო აქ სახელისუფლო თოჯინები და მორჩილი ხმის მიმცემი მასაა არჩევნებში.

კაპიტალიზმი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ხელს უწყობდა ეკონომიკის განვითარებას ეროვნულ ჩარჩოებში. მისმა მისწრაფებამ მოგების უკოტროლო მიღებისაკენ მოშალა ნაციონალური საზღვრები და გლობალიზაციის სტადიაში გადავიდა. ამ სტადიაზე კერძო ოლიგარქიული ტრანსნაციონალური კომპანიები და ტრანსტერიტორიული ცენტრები და მათი ხელისუფლება იწყებენ ნაციონალური სუვერენული სახელმწიფოების ფუნქციების თავისთავზე გადატანას. ეს პროცესი უფრო და უფრო გაძლიერდა. მან მოძრაობის ახალი ენგია შეიძინა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალისტური წარმოება მოგების თავშეუკავებელი მისწრაფების გამო, ნედლეულისა და მასალების შეზღუდულობას წააწყდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც ს. სტროვეი წერს, – კაპიტალიზმი ან უნდა დაღუპულიყო კრიზისის გამო, ან კავშირი გაეწყვიტა მოგების მისწრაფებასა და წარმოების საშუალებების შეზღუდულობას შორის. სიკვდილს სიცოცხლე არჩია და მეორე გზაზე გადაინაცვლა. ასე მოშორდა ფულის ბრუნვარეალურ წარმოებას და ფინანსური ავტონომია წარმოიქმნა (ეს ყველაფერი უფრო ძლიერდება 1913 წლიდან, როცა აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა ჩამოაყალიბეს). მცირე რიცხვის კერძო საბანკო სტრუქტურებს ფულის დაბეჭდვის საშუალება მიეცა ეკვივალენტთან მიმართების გარეშე. ამით ფულმა, მართალია, ღირებულების გაცვლის ფუნქცია დაკარგა, მაგრამ მითვისებისა და კონტროლის ფუნქციები შეიძინა. საბოლოოდ ფული რთული სპეკულაციური

სისტემა გახდა. თუმცა ეს ოლიგარქებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა-ადამიანი უნდა ექცია სპეკულანტად და სპეკულატურ მოაზროვნედ.

მსოფლიო ფინანსური ოლიგარქია იოლად ახერხებს, რაკი ოთხთონ პირველი სპეკულანტია, მისთვის სასურველი ხელისუფლების არჩევას სხვადასხვა ქვეყნებში. ფული ამ საქმისთვის ღამაში სატყუარა და სწრაფი მოქმედების ნარკოტიკია. ნარკომომხმარებლები ძნელი მოსაძებნი როდია. რაც შეეხება მეთოდს, მას სამეცნიერო უზრუნველყოფა აქვს. სახელისუფლო რეზიდენტი კანდიდატების გამოყვანა დამუშავებულია მეცნიერულად და ამისთვის გამოიყენება მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები და სამეცნიერო დაწესებულებები. ოღონდ სახელისუფლო კანდიდატებს ზოგიერთი სახის უნარ-ჩვევები თანდაყოლილი ან შეძენილი უნდა ჰქონდეთ, მაგალითად, თავისი ქვეყნისა და ხალხის პათოლოგიური სიძულვილი, ან უბედური ბავშვობა, რომლის გახსენება სხვებისადმი შხამად ამოიფრქვევა და პოზიციურ ბოლმად იქცევა; იყვნენ ნიჭიერნი და ჰქონდეთ ფსიქოლოგიური გადახრები, იყვნენ ქარიზმატულები, ეზარებოდეთ ტრადიციული ინსტიტუტები და თავიანთი ერის ცხოვრების წესები და ზნე-ჩვეულებები, ჰქონდეთ პიროვნული ავადმყოფური პატივმოყვარეობა კომფორტისა და უპასუხისმგებლო ცხოვრებისადმი, იყვნენ სასტიკი და დაუნდობელი ხელქვეითებისა და ყველა იმისადმი, რომელიც მათ წინ აღუდგებათ და სხვა. მთლად სწორი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ რეფლექსიით ამ თვისებების შექმნაც შეიძლება.

ხემოთ აღვნიშნეთ, რომ ფინანსური ტოტალური ოლიგარქია იოლად ახერხებს მისთვის სასურველი კანდიდატების არჩევას ამა თუ იმ ქვეყანაში. ამას ორი რამ განაპირობებს: მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვება და ფარული ფინანსური სპეკულაციები ლუმპენებისა და უსაქმურების მოსყიდვის მიზნით. უფრო რთულია მოსახლეობის გაძარცვა ტრადიციული ინსტიტუტებისა და წეს-ჩვეულებებისაგან. ამის საწინააღმდეგოდ ევროპული ლიბერალიზმის თეორია მოქმედებს.

არსებობა უარყოფის საფუძველია ანუ ყველაფრის უარყოფა შეიძლება, ისევე როგორც იმის მტკიცებულობა, რაც არსებითია. მათ შორის ის სხვაობაა, რომ მტკიცებულობის უარყოფა შეიძლება იყოს ჭეშმარიტება ან ანტიჭეშმარიტება. ეს ბოლო შემთხვევა ორ მომენტს ითვალისწინებს. ერთ შემთხვევაში ეს მეცნიერული ცდომილებაა-მკვლევარს ჰგონია, რასაც ამტკიცებს, ჭეშმარიტია და ამიტომ მართალია; მეორე შემთხვევაში ავტორმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტებასთან აქვს საქმე, მაგრამ მისი გაყალბება ან თვითონ სურს, ან ასეთი შეკვეთა აქვს კერძო პირისა თუ კორპორაციული ხელისუფლებისაგან საზოგადოებრივი ცნობიერების შესარყენელად. ეს ახლანდელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა-ჭეშმარიტებაზე მასობრივი შეტევა. აცხადებენ, რომ ტრადიცია სიცოცხლისა და ცხოვრების ხუნდებია, ოჯახი-ტივითი, პასუხისმგებლობა-თავისუფლების შეზღუდვა, სინდისი-ქიმერა, სირცხვილი-არასრულფასოვნება, კანონი-ხელისუფლება, ფული-დამერთი და ა.შ. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს-ვისთვის არის ეს ყველაფერი საჭირო. ნუთუ მსოფლიო ტყუილების სივრცეშია. მაგრამ რეალურად ასე მარტივად არ არის საქმე. მეოცე საუკუნის კაპიტალიზმის განვითარების შუა პერიოდში იყო დიდი მოთხოვნა მაღალი პროფესიის კადრებზე. იმის შემდგომ მდგომარეობა

ხარისხობრივად შეიცვალა. საინფორმაციო საზოგადოებას, კომპიუტერიზაციის პირობებში, მაღალი პროფესიის სპეციალისტებზე გაცილებით ნაკლები მოთხოვნა აქვს, მარტივი პროფესიები უფრო საჭიროა. ეს ერთი, ხოლო მეორეს მხრივ, განათლებული საზოგადოება პრეტენზიული, კანონმოთხოვნადი და ძნელად მართვადია. ამას გარდა, პრაქტიკულად მოუხერხებელია მოსახლეობის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეკვეცა. ამიტომ საჭიროა ინფორმაციული გარემოს დაჭუჭყიანება და ინფორმაციის გენური ინჟინერია. ასპარეზი იპოვა ანტიმეცნიერებაში.

ანტიმეცნიერებზე ზუსტი წარმოდგენა არ არსებობს. იგი მეცნიერთა მიერ სხვადასხვანაირად განისაზღვრება. ანტიმეცნიერების ანალოგიური ტერმინია ანტისციენტისმი, რომელიც უარყოფს ან არასათანადოდ აფასებს კულტურას, ზნეობას, რელიგიას, ფილოსოფიას, ყოველდღიურ შემეცნებას, სამყაროსადმი ემოციურ-პიროვნულ დამოკიდებულებას და სამყაროსადმი სხვა მსგავსი დამოკიდებულების ფორმებს.

ჯეიმს ჰოლტონი ანტიმეცნიერების შემდეგ სახეებს გვთავაზობს:

1. ნამდვილი მეცნიერება („კეთილი“, „ავი“, ნეიტრალური; ძველი, ახალი, ახლადწარმოქმნილი);

2. პათოლოგიური „მეცნიერება“ (ანუ ადამიანთა საქმიანობა, რომლებიც დარწმუნებული არიან იმაში, რომ „ნამდვილ“ მეცნიერებას ქმნიან, მაგრამ სინამდვილეში თავიანთი ავადმყოფური ფანტაზიებისა და ილუზიების ტყვეობაში არიან);

3. ფსევდომეცნიერება (ასტროლოგია, „მეცნიერება“ პარანორმალურ მოვლენებზე, აშკარა სისულელე და ისეთი ტიპური ისტორიული ცრურწმენა „სულის პირამიდებზე“ და მისი მსგავსი);

4. სციენტისმი (რწმენის მეტისმეტი ენთუზიაზმი მეცნიერების ძალაზე, რომელიც გამოისახება კულტურის არამეცნიერული სფეროებისადმი „მეცნიერული მოდელისა და რეცეპტების თავსმოხვევაზე; ტექნოკრატების გადაჭარბებული პრეტენზიები, რომლებსაც ბრმად სჯერათ მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველადღიერება და სასწაულმოქმედება, როგორც ეს, მაგალითად, გამომუშავდა „ვარსკვლავური ომების პროექტის პროპაგანდაში). იგი იქვე აღნიშნავს, რომ ანტიმეცნიერების ყველაზე მზაკვრული გამოვლინებაა ის შემთხვევა, როცა იგი უკიდურესი პოლიტიკური ჩანაფიქრისა და ამბიციების დაკმაყოფილებას ემსახურება.

ზემთ ეკონომიკური ლიბერალიზმი ვახსენეთ. ამაზე დაბრუნებას ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში ჩემი დაკვირვება მაიძულებს უფრო კონკრეტული ვიყო ეკონომიკური ლიბერალიზმისადმი, ვინაიდან ხელისუფლებაში მყოფი თუ ხელისუფლების მოსურნე პირები პირდაპირ გადაგებულები არიან იმაზე, რომ საქართველომ დასავლეთის ეკონომიკური ლიბერალიზმი უნდა აითვისოს და ამაში ხელდაეხმოს ქვეყნის უკეთეს მომავალს. სხვა ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები ვიზუალურად მომხიბვლელია, მაგრამ ეკონომიკა ადგილის დედასავითაა, მას თავისი ფესვები აქვს. ფ. ფუკუიამასაც ეგონა, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი კაცობრიობის ბოლო საფეხური იყო. სიცოცხლის მარადისობა გარდაცვალება-შობადობის მონაცვლეობაა და არა შობადობის გაშლა ათვლად მიხნეული ერთი რომელიმე წერტილიდან.

ეკონომიკური წარმატებები გადამფრენი ფრინველების გუნდს ჰგავს—ეკონომიკურ პირველობაში ერთმანეთს ენაცვლებიან—ინსტიტუტურად, დროისა და გარემოებისაგან დამოკიდებულებით (ამას ჰაიეკი სპონტანურ წესრიგს უწოდებდა).

ასეთი მოძრაობაა ლიბერალიზმი. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ იგი ეკონომიკიდან წამოვიდა, რაც სავსებით სწორია. როგორც ადამიანის თავისუფლების ახალი ხარისხი. დასავლური ლიბერალური თავისუფლება ადამიანს წარმოაჩენს, როგორც ინდივიდუალურ ტიპს, როგორც ფუნდამენტურად არასახოგადოებრივს. კოლექტივი აქ განხილულია არა როგორც მთლიანობა, ერთიანი ორგანიზმი, არამედ როგორც კომპოზიცია, ინდივიდთა ურთიერთობები, რომელსაც კოლექტივის ფორმა აქვს. ინდივიდი კოლექტივზე მაღლა დგას და შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც სურს, ვიდრე სხვა ინდივიდის თავისუფლებას შეზღუდავს. მისი თავისუფლება განსახდვრულია კანონებითა და წესებით და იმის იქეთ სხვა ვალდებულებას არ სცნობს, ეს მისი ნებელობითი მხარეა. მას არა აქვს ოჯახის შექმნის ვალდებულება, პასუხისმგებლობა ახლობლებზე, მშობლებსა და ნათესაებზე, ქორწინების სიწმინდის შეგრძნება, ტრადიციებისადმი პატივისცემის გრძნობა, ეროვნულობისადმი და ადგილის დედისადმი პატივისცემა და ვალდებულებები. ევროპული ლიბერალური თავისუფლება გულისხმობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ მოწყდნენ თავიანთ წარმომავლობას, თავიანთ გარემოცვას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, თავიანთი ინტერესების მისაღწევად. ამ ინტერესების ინტეგრალური გამოსატყულებაა ფული ანუ ფული მიზანია ლიბერალისთვის.

ლიბერალური ეკონომიკა, უფრო გავრცელებული ტერმინით „საბაზრო ეკონომიკა“, თავისი არსებობის საჭირო პირობებად მოითხოვს ტრადიციული საზოგადოების დაშლას ინდივიდუალურ ერთეულებად. მიიჩნევენ, რომ ოჯახი იერარქიული სტრუქტურა არ არის. იგი რაღაც ინდივიდების სისტემურ თამაშს ჰგავს, რომელთა წევრებს მუდმივად უხდებათ თავიანთი უფლებების დაცვა.

საქართველოში ევროპული ლიბერალიზმი უკვე არსებითია. განათლების სისტემა ზუსტად იმ ფორმატშია, როგორც ეს პ. ბიუკენენსა და დ. პოლტონს აქვს მოთხოვნილი მსოფლიოში კარგად გახმაურებულ თავიანთ შრომებში. ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობა არ იცნობს ყველაზე აღიარებულ სახელმძღვანელო ლიტერატურას. არ შეუძლია ამოხსნას უმარტივესი ეკონომიკური ამოცანები, არ იცის გეოგრაფია და სხვა.

მშენებარებს ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგია. პოლიტიკოსები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიარიან, რომ ახლა ნამდვილი თავისუფლებაა, რომ აქამდე ხალხი დამონებული იყო, რომ საქართველოს ნამდვილი ისტორია 2003 წლიდან იწყება. ზოგიერთები ამას ხელისუფლების გაუნათლებლობით ხსნიან, არადა, ყველაფერი პირიქითაა, ეს მოსახლეობის აქტიური ნაწილის შემაკავებელი ბლოკია. ყოველივე ეს იქით არის მიმართული, როგორადაც ჩაფიქრებულია—წარსული უნდა ამოიღონ ახალი თაობის მეხსიერებიდან და მაშინ ახალგაზრდობა იმას დაიჯერებს, რაც მისთვის თვალსაჩინოა, რომლის მონაწილეც თვითონ არის. თუ ეს უბედური იდეოლოგია მალე არ ამოიშანთა ჩვენი ახლანდელი გაურკვეველი ცხოვრებიდან, ხვალინდელი ახალგაზრდობისთვის დღევადელობა წარსული იქნება, რომლისგანაც მას ახალი ცხოვრების

წესი, თავისი უნარ-ჩვევებით ჩაესურათხატება. ეს ნაბიჯია იმისკენ, რასაც ჩვეულებების ხელისუფლება და ტრადიცია ჰქვია. მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ეს უბედური იდეოლოგია გამარჯვებას ვერ აღწევს, ვინაიდან ნახევარი საუკუნისა და უფრო მეტი ასაკის ქართული ცოცხალი ინტელექტი ძლიერია, რომელსაც არ ენანება სიცოცხლის მიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე მისი თვითმყოფადობის გადასარჩენად. და კიდევ: ეკლესიაში, როგორც ქვეყანას ისტორიულად ჩვეოდა, კვლავ გამოჩნდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, რომლებიც მზად არიან ანაფორა გაიხადონ და იმ ადამიანების გვერდით დადგნენ, რომელთაც ქვეყნის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ.

ქართული ეკონომიკის დენაციონალიზაცია ძალაში შედის. აქ მხედველობაშია არა მარტო მოსახლეობის ემიგრაციისადმი ხელშეწყობა, არამედ ფარული მიგრაცია, როცა ჩვენს დაც-არიელებს სოფლებსა და ქალაქებს ნელ-ნელა იკავებენ უცხოტომელები. ლიბერალები აღტაცებაში არიან-არჩვენებში ხმის მიმცემთა მასას ითვლიან. ეროვნულობა თავისუფლების შეზღუდვაა ლიბერალური ხელისუფლებისა და ყველა იმათთვის, ვისაც საქართველოში შემოსვლა სურს. საშუელი იქედანა, რომ ხელისუფლებაში ქვეყნის ღვიძლი შვილები მოხვდნენ. დავანებოთ თავი ამ ყავლაგასულ იმპორტოლოგიას-ევროპაში დაამთავრა, ამერიკაში სწავლობდა, ინგლისიდან დაბრუნდა და ა.შ. ეროვნულობაგაცლილი, საიდანაც ჩამოვიდა, იქით წავიდეს, თუ საქართველო არ მოსწონს. მსოფლიოში რანაირი ეკონომიკური ევროპული თუ ამერიკული სასწაული არ უნდა იყოს, საქართველო საქართველოდ უნდა დარჩეს, ამას უნდა ვემსახურებოდეთ ჩვენც.

სახელისუფლო მასმედია ყველანაირ ანტიქართულს ქადაგებს და ყველაფერი ეროვნული უნდა გააქროს, თითქოსდა ცარციით დაწერილს შლიდეს. აქ ისტორიული ინტელექტი და ევროპული ლიბერალიზმის მიხრწნილი სხეულიდან აღებული შრატის საქართველოსთვის გადასახსამი ამჟღავნები სასწორის პინებზე აწყვია. ინტელექტუალური ისტორია ჰუმანურია, იგი ბრძენია და მშვიდი. ევროპული ლიბერალიზმი ბარბაროსია და ჩქარი. კაპიტალიზებულია ანტიმეცნიერებით და ამიტომ ბობოქრობს, ვიდრე ბოლომდე გაშიფრავენ, უნდა მოასწროს საზოგადოების გადაჯიშება. აქაც ყველფერი დასწრებაზეა და იმის იმედზე, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. დროზე უნდა ყველაფერ ამას მანამდე შეველა, ვიდრე წყალი წაიღებს ჭიანჭველას, მერე ვის უნდა ძუა და ბაწარი.

ტორტმანებს ქართული ოჯახი. საზღვარგარეთ დედა და ბებია სხვის ლოგინებსა და სამზარეულოებს ალაგებენ, სხვის ბებიებსა და ბაბუებს უთბილავენ დავრდომილ სხეულს, ვიღაც კვაზიმოდოებს უპლაკავენ ფეხებს, რომ საქართველოში თავიანთ ოჯახებს ფული გამოუგზავნონ. აქ კიდევ ტელევიზორს მისჩერებიან და აღფრთოვანებას ვეღარ მაღავენ: თურმე სექსი ყველა ასაკში შეიძლება, შენ ხარ თავისუფალი და ბაბუა-ბებიას კი არა, დედ-მამაც არაფერი ეკითხება და ვერაფერს დაგიშლის. თხოვა-გათხოვება სერიალებია და ერთხელ და სამუდამოდ დაქორწინება გოიმობაა. სწავლა ქაჯობაა, მთავარია ფულის გადახდა, დიპლომს მოგცემენ. ამასობაში თაობათა კარუსელი შენს ფეხებთან დგება და ახლა შენი ჯერია. ისევ „შავი ბაზარი“, მონა-მოჯამაგირეობა და...სადღაა ოჯახი.

ქართული ოჯახი არა მხოლოდ უძველესი, არამედ უნიკალური თვითმყოფადი ინსტიტუტია. მისი პრინციპული შენარჩუნება ჩვენი ისტორიული ვალია. რუსული საერო ცხოვრება ყოველთვის იყო და არის კრიტიკის საგანი, როგორც საზღვარგარეთელი, ასევე რუსი მეცნიერების მიერ. ქართული ცხოვრების წესი, ოჯახისა და დედ-მამიშვილობის კულტურა დღესაც ადაფრთოვანებს ტურისტებსაც და ეთნოგრაფებსაც. მაშ, რას ვერჩით ჩვენი ცხოვრების წესს? რატომ ვურევთ ხელს ოჯახურ ურთიერთობებში? რა უნდა ტელევიზიასა და ვიდაც ხელიდან წასულ და სინდის-ნამუსგარეცხილ, ტყე და ბარში ათასი ჯურის ვნებაავარდნილ მამრთან ლოგინში მოკოტრიალვ მძორებს? ვის ასწავლიან ჭკუას? თუმცა რა, სატრაბახო სწორედ ისაა, რისი დანგრევაც ფუძის მოშლაა, ზნეობრივი ხელყოფაა. გმირობად იხემავენ.

ქართულ ოჯახს „გრადის“ ტყვიებად აწვიმს:

1. სექსის პროპაგანდა მას მედიის ყველა სახიდან. ინტერნეტი კიდევ უმწიფარ გონებას მასობრივად წამლავს;
2. უძველეს ტრადიციული უმცროს-უფროსობის ზნეობრიობის, ოჯახის ფუძის პასუხისმგებლობის ინსტიტუტების რეკლამაცია;
3. ქალისა და კაცის არაბუნებრივი თანასწორობის იდეალიზაცია;
4. ფულის კულტი;
5. ევროპული ლიბერალიზმის ფეტიშიზაცია;
6. ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვების მიერ „დამოუკიდებლობის“ შეგნების პროფანაცია;
7. პატრიოტული შეგნების ნიჰილიზაცია;
8. მართლმადიდებლური რელიგიისადმი გულგრილობა.

პაპისეულ აკვნებში გაზრდილი ნაცრისფერთმიანების ჯერ კიდევ დიდი არმია, ძალა და ავტორიტეტია საზოგადოებაში. ისინი უბერავენ სულს პაპის კერიაზე ლიბერალიზმის სექსუალურ მინაველებულ ნაკვერჩხალს. ისტორიული წილხვედრის დროა. ოჯახის ტრადიციების განვითარების რესურსები საკმაოდ ძლიერია.

ოჯახიდან შეიქმნა საზოგადოება, რომელმაც კანონმდებლურ აღიარებას კაპიტალიზმში მიადწია. ამდენად, ოჯახის მოშლა საზოგადოების გადაგვარებასაც ნიშნავს. ამ პროცესს რევრუსული ხასიათიც აქვს—ანტიეროვნულ სამოქალაქო საზოგადოებას ოჯახის მოშლა შეუძლია. აქ უკვე თავი მოუყარეთ სამივე კომპონენტს: სახელმწიფო, საზოგადოება, ოჯახი.

ოჯახი სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ფუნდამენტი. ოჯახებიდან ცალკეული პირების გასვლა კომერციული და არაკომერციული საქმიანობის ორგანიზაციის მიზნით, ასახვას პოულობს ისეთ ფორმაში, როგორცაა საზოგადოება. აქედან ჩანს, რომ ოჯახი საზოგადოების აღმა-მატერი, პრეისტორიაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადამიანს საზოგადოების გარეშე არ უცხოვრია. ამას გამოხატავს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის მარადიულ ჭეშმარიტებად ქცეული ფორმულა—ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია. ადამიანის ინდივიდალ, დამოუკიდებელ ერთეულად წარმოსახვა, პირობითია იმდენად, რამდენადაც იგი არსებითია. ამდენად, ოჯახი, საზოგადოება და ხელისუფლება ადამიანების გაერთიანებაა ერთი სახელმწი-

ფოს ფარგლებში. აქვე უნდა გავიმეორო ათასგზის თქმული—ამ ორგანიზაციულ ერთეულებს შორის დამოკიდებულება არაპარმონიულია ისევე, როგორც თვით ერთეულებს შიგნით ანუ ისინი დაპირისპირებულობისა და ერთიანობის დამოკიდებულებაში არიან. ამიტომაც არსებითი მათ შორის (სტრუქტურულ ერთეულებს შიგნით) როგორც პარმონიული, ასევე კონფლიქტური სიტუაციები, ინტერესთა ბალანსი და ასიმეტრია, ჯგუფების დაშლა და წარმოქმნა. ამ ჯგუფების დინამიკური მთლიანობის ეკონომიკური და პერპედომობილური სოციალური პრობლემები ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის ინტერესების, როგორც პარმონიის, ასევე ხელოვნური წინააღმდეგობის ინკუბაციისა და ტირაჟირების შესაძლებლობებს ქმნის. პირველ შემთხვევაში გვეძლევა მტკიცე სახელმწიფო, საზოგადოება და ოჯახი. მეორე შემთხვევაში, კონფლიქტური სიტუაციები, რომელიც სახელმწიფოს ასუსტებს და შიდასახელმწიფოებრივ დაძაბულობას ქმნის (საკითხის გამარტივების მიზნით, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს არ ვიხილავ). ამ უენასკენელს ამძაფრებს სიტუაცია, როცა სოციალური ჯგუფების იმანენტური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების პარალელურად ხელოვნურად კონსტრუირდება არა მარტო წინააღმდეგობათა გამწვავების კატალიზატორები, არამედ ვირტუალური ინტერესები, რომლებიც კონფლიქტურ წინააღმდეგობების წარმომქმნელებია. ეს ანტიმეცნიერების სტიქიაა.

ეკონომიკური ლიბერალიზმის თანახმად ჯერ იყო ადამიანი, როგორც ინდივიდი, მერე დანარჩენი: ოჯახი, საზოგადოება, ხელისუფლება, ღმერთი, რელიგია და სხვა. ადამიანი ამ ინსტიტუტების გავლენაში მოექცა. იგი საუკუნეების მანძილზე ტანჯვაშია, რადგან ჯერ ოჯახი, მერე საზოგადოება და ბოლოს სახელმწიფო მას თავისუფლებას ართმევს. დადგა დრო გათავისუფლდეს თაბამედროვე ადამიანი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, ღმერთისა და ეკლესიისაგან.

ოჯახი სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური უჯრედია, ამიტომ არის ოჯახის ინსტიტუტის გაძღვრება სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია. ოჯახის განვითარება იმთავითვე არის საზოგადოების განვითარებაც, ვინაიდან რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო მეტია სხვადასხვა სახის ეკონომიკური, პოლიტიკური, პროფესიული გაერთიანებების წარმოქმნა და კიდევ ისეთებისა, როგორცაა ადამიანთა უფლებების დაცვა, ფლორასა და ფაუნას შენარჩუნების, გარემოს დაჭუწვიანების, ცხოველთა სხვადასხვა სახეების მოვლისა და დაცვის ორგანიზაციები და ა.შ. ეკონომიკური და სოციალური პროგრესი განუსაზღვრელად ზრდის ადამიანის თვითორგანიზაციის შესაძლებლობებს, მისი პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარებისა და ჩვევების მასივებს, რომლის კვალდაკვალ უფრო და უფრო იზრდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით. მატულობს მათი კრიტიკული პოზიცია არა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის მიმართ, არამედ იმის მიმართაც, კანონმდებლური სივრცე რა და როგორი ელემენტებით უნდა შეივსოს და რა შედეგებს მოიტანს იგი. სხვა საკითხია რამდენად მიზანშეწონილია ეს ყველაფერი ეროვნული, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. აქ ხდება ინტერესთა კონფლიქტი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენი ქვეყნის მომავალი მართლმადიდებლური სოციალისტური ეკონომიკის გამოწვევაა.

ლიტერატურა

1. Освальд Шпенглер и закат Европы. [magister.msk.ru>ocr>philos/shpng104.htm](http://magister.msk.ru/ocr/philos/shpng104.htm).
2. Бердяев Н. Судьба России. II Проблема национальносит. Конец Европы. [kratov.info>library/02-b/berdyayev/1918_15_13htm](http://kratov.info/library/02-b/berdyayev/1918_15_13htm).
3. Бьюкенен П. Смерть Запада. [lib. rus. ec>Книги>4577/read](http://lib.rus.ec/Книги/4577/read)
4. Фукуяма Ф. Конец истории и последний человек. [lib.ru. POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC_istorii.txt](http://lib.ru/POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC_istorii.txt)
5. Малашхия Г. Экономика человечная. Экономико-философские суждения. Санкт-Петербург-Тбилиси. 2009. с. 250.
6. Глобализация мировой экономики: проблемы и последствия. chin.run.pass/management/roof-3/10shim
7. Электронная версия бюллетеня Население и общество. № 249-250 (19 января -1 февраля 2009)
8. [www.htt. planeta.by/artikle/47](http://www.htt.planeta.by/artikle/47)
9. Неведимов Д., Религия денег или лекарство от рыночной экономики. с. 490. www.koob.ru

მეზი ბორბასლიკე

ეკონომიკის დოქტორი, აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო მეწარმეობა - საბაზრო

ეკონომიკის რეზულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი

საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მისი რეგულირების სწორად შერჩეულ მეთოდებზე. რამდენადაც ეკონომიკის სწრაფი განვითარების პირობებში ადგილი აქვს ეკონომიკური რესურსების მტაცებლურ გამოყენებას, რომლის თანამდევი პროცესებია არახელსაყრელი ეკოლოგიური შედეგები, ეკონომიკური კრიზისები, ამდენად, სახელმწიფო თავისთავზე იღებს წარმოების, დასაქმების, ფასების დონის და რესურსების განლაგების ოპტიმალური მოდელის შერჩევას. ამ მიზნით სახელმწიფო ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონებს, მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებს, ფინანსური რეგულირებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დონისძიებებს.

საბაზრო ეკონომიკის რეგულირებას სახელმწიფო თავისი მეწარმეობრივი საქმიანობითაც ახორციელებს, რაც ნიშნავს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის არსებობას და ფუნქციონირებას.

სახელმწიფო მეწარმეობას მიეკუთვნება სამხედრო მრეწველობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საჰაერო, სარკინიგზო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის საწარმოები, აგრეთვე მოსახლეობის ფართო ფენების ერთობლივი მოხმარების საწარმოები

სახელმწიფო მეწარმეობა - საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი